პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 189 (11495)
შაბათი
15
აგვისტო
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ნ. ს. ხრუშჩოვისა და კ. ე. ვოროშილოვის მისასალმებელი დეპეშა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა 14 აგვისტოს მოსასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ამხანაგ კიმ ირ სენსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ცოი ენ გენს ეროვნული დღესასწაულის — კორეის განთავისუფლების მე-14 წლისთავის გამო.

დეპეშაში აღნიშნულია, კერძოდ, რომ სახალხო ხელისუფლების 14 წლის მანძილზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს დიდი წარმატებანი სოციალისტურ შენებლობაში.

საბჭოთა კავშირის ხალხებს, ნათქვამია დეპეშაში, [illegible] ლად ახარებთ შრომისმოყვარე კორეელი ხალხის შესანიშნავ [illegible] წევები და მხურვალედ უსურვებენ მას შემდგომ წარმატებებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, დემოკრატიულ საწყისებზე კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხები, რომლებსაც აკავშირებთ ურღვევი ძმური მეგობრობა, რასაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, კვლავაც განამტკიცებენ ამ მეგობრობას, გააღრმავებენ და გააფართოვებენ მჭიდრო თანამშრომლობას მშვიდობისა და სოციალიზმის ხაჭმის ინტერესებისათვის, მთელი სოციალისტური ბანაკის საკეთილდღეოდ. (საკდესი).

ორგანიზატორული მუშაობა — აი რა არის მთავარი

განუხრელი წინსვლისა და ახალი ზღუდეების დაპყრობისაკენ მოუწოდებენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამ მოწოდების პასუხად დიადი შვიდწლედის პირველ წელს მძლავრი მაჯისცემა, გრანდიოზული გაქანება იგრძნობა საკოლმეურნეო სოფელში. ეს შემართება, საყოველთაო-სახალხო ლამქრობა გამოიწვია პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიმართვამ მშრომელებისადმი და ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის მზადებამ.

რაოდენ პასუხსაგები, გადაუდებელი ამოცანებია დასახული სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე; რაოდენ დაძაბული შრომა, ენერგია, ორგანიზატორული მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ სასახელოდ შესრულდეს შვიდწლედის პირველი წლის გეგმები! სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიმართვაში ნათქვამია: **„დაე თვითეული მშრომელი განიმსჭვალოს თავისი მუშაობისათვის, გამომუშავების ნორმებისა და საგეგმო დავალებების ყოველდღიურად შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. გადაჭრით უნდა გაჩაღდეს ბრძოლა მფლანგველობის, მოდუნებულობისა და უდისციპლინობის წინააღმდეგ, ყაირათიანობისათვის, მეურნეობის ეკონომიურად, გონივრულად გაძღოლისათვის“.**

ამ სიტყვებმა ღრმად უნდა შთაგონოს, დაიფიქროს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი. საჭიროა აქედან გავაკეთოთ მიზანსწრაფული დასკვნები და ყოველი ღონისძიებით უზრუნველვყოთ არა მარტო გეგმების, არამედ აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულება.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები სწორედ ამ დიადი ამოცანების შესრულებით უნდა შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბერ-დეკემბრის მომავალ პლენუმს, რომელიც ღრმა ანალიზს გაუკეთებს იმას, თუ როგორ სრულდება პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, და დასახავს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში სერიოზული წარმატებებია მიღწეული ჩაის, ყურძნის, ხილის, მარცვლეულის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. შვიდწლედის პირველი წელიც კარგად დაიწყეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. გაჩაღებულია ბრძოლა 140.000 ტონა ჩაისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული მარკის ღვინოებისათვის, ნახევარ მილიარდზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფისათვის, მეტი ხორცისა და რძისათვის, მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის, ორი მილიონ ტონა სილოსისათვის და სხვ.

ეს არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების პირველი ეტაპი. მეორე ეტაპს, რომელიც დაახლოებით სამ თვეზე მეტს მოიცავს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სოფლის მთელი ძალები, მშრომელთა უნარი და გამოცდილება უნდა მოვახმაროთ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების უთუოდ შესრულებას. მაგრამ წარმატებები თავისთავად როდი მოვა. ისინი უნდა მოვიპოვოთ დაძაბული შრომით, ორგანიზატორული მუშაობით.

რედაქციაში მიღებული სიგნალები მოწმობენ, რომ ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლა. ზოგან საქმეს არ განამტკიცებენ ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობით და ზოგჯერ კიდევაც ითმენენ ჩამორჩენას.

...„რატომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ მუშაობს ისე ორგანიზებულად, როგორც ქარხნების კოლექტივები მუშაობენ? — ამბობდა თავის სიტყვაში **ნ. ს. ხრუშჩოვი** სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე. — **იმიტომ, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში თავმჯდომარეთა პოსტებზე დიდხანს არიან ცუდი მუშაკები, ზოგმა თავმჯდომარემ სამი კოლმეურნეობა დაიქცია და მეოთხეს უთვალთვალებს. პარტიული ორგანიზაციები კი სუსტად იბრძვიან ასეთი ბოროტების წინააღმდეგ“.**

ეს სერიოზული გაფრთხილებაა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისათვის. სამწუხაროდ, აქა-იქ კიდევ ვხვდებით მსგავს ფაქტებს. მაგალითად, ვანის რაიონის სოფელ დუცხუნის კოლმეურნეობას 1950 წლიდან ხელმძღვანელად ჰყავდა ა. ჯულაყიძე, რომელმაც, როგორც იტყვიან, დააქცია კოლმეურნეობა. 1954 წელს იგი მოაშორეს კოლმეურნეობას. მაგრამ მალე ყუმურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ გაძვრა. კიდევ ცოტა ხანი გავიდა. 1957 წელს ისევ დუცხუნის კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ წამოასკუპეს. საინტერესოა, რა ნიშნის მიხედვით გადაჰყავთ ვანის რაიონში ერთი ადგილიდან მეორეზე ასეთი „ხელმძღვანელი“ მუშაკი?

უკანასკნელ წლებში ბათუმის რაიონის საბჭოთა მეურნეობები თავს ვერ აღწევენ ჩამორჩენას. თუ ბათუმის რაიონმა ივლისში ქვეყანას 57 ტონა ჩაის ნედლეული დააკლო, აქედან 51 ტონა საბჭოთა მეურნეობებზე მოდის. ანდა ავიღოთ ბათუმის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობა. რატომ ჩამორჩა იგი? კოლმეურნეობაში ხომ არიან ხელმძღვანელები, 55 კომუნისტი და ასზე მეტი კომკავშირელი? სად არის მათი ავანგარდული როლი? ცხადია, ასეთი ჩამორჩენა განაპირობა ცუდმა ხელმძღვანელობამ.

მსგავს ფაქტებს იტყობინებიან ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის და ზოგიერთ სხვა რაიონიდან. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა.

ეჭვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ შვიდწლედის პირველი წლის გეგმები, ნაკისრი ვალდებულებები, და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბაქო, 13 აგვისტო. (საკდესი). აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა განიხილა აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე. აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშთან დაკავშირებით. მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ი. ახუნდოვმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო ოცზე მეტმა კაცმა.

პლენუმის მონაწილეებმა ძირითადი ყურადღება მიაქციეს გადაუჭრელ საკითხებს, სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც აქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასა და მათდამი ხელმძღვანელობას პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ.

მკვეთრად გააკრიტიკეს პლენუმზე საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობა, რომელიც დღემდე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგია.

პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობაში დიდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი და პირობა დადო, რომ აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაცია და რესპუბლიკის ყველა მშრომელი უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის ბამბის, მარცვლეულის, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის შესახებ 1959 წელს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებას, ღირსეულად შეხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა აგრეთვე აზერბაიჯანის კომპარტიის აღდგენის, ბარდის, შამქორისა და ყონანკენდის რაიკომების ანგარიში სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ.

პლენუმმა მოვალეობისაგან გაათავისუფლა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი და ბიუროს წევრი ამხ. დ. ნ. ია კოვლევი მის ავადმყოფობასთან დაკავშირებით.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ვ. ე. ხემიჩასტნა.

ვალენტინა გაგანოვას მაგალითით

დნეპროპეტროვსკი. ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში ახალგაზრდა ოსტატის იგორ მალცევის ცვლა ცუდად ართმევდა თავს საწარმოო დავალებებს, უშვებდა წუნს. ჩამორჩენილი კოლექტივისათვის დახმარების გაწევა იკისრა გამოცდილმა მეტალურგმა ალექსი შპაკმა, რომელიც რამდენიმე წელიწადს სათავეში ედგა საამქროს მოწინავე ცვლას. მან ხაჭე ხაწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებით დაიწყო. მეფოლადეებთან ივანე კოვალენკოსთან, მიხეილ გალაგანთან, ნიკოლოზ ორიოლთან და სხვებთან ერთად ოსტატი შეუდგა დნობისათვის საკაზმე მასალების მომზადების გაუმჯობესებას, გამოიყენა მთელი რიგი სიახლენი, რომლებმაც შესაძლებელი გახადა თვითეული დნობის ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად შემცირება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

ახლა ალექსი შპაკის ცვლა ყოველი ხუთი დნობიდან სამს ჩქაროსნულს იძლევა. ბრიგადის ანგარიშზეა სამას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ფოლადი. ბრიგადა პირველ ადგილზე გამოვიდა პროდუქციის ხარისხის მხრივ.

სურათზე: ალექსი შპაკი (მარჯვნივ) და მეფოლადე ნიკოლოზ ორიოლი.

ფოტო გ. პაზენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

20 მილიარდი კილოვატსაათი იაფი ელექტროენერგია

ცენტრის, ურალის ვოლგისპირეთის რაიონებში გაიჭიმა ელექტროგადაცემის ხაზები ვოლგის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურიდან. მოსკოვს მან უკვე მისცა 20 მილიარდი კილოვატსაათი იაფი ელექტროენერგია.

ელექტროდენი, რასაც ეს მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური იძლევა, ამოძრავებს ფაბრიკა-ქარხნების ჩარხებს, ანათებს მოსკოველთა ბინებს. ვოლგის ჰესის ამუშავების შემდეგ შესამჩნევად გაუმჯობესდა დედაქალაქის ენერგობალანსი. შესაძლებელი გახდა ყოველ წელს მოსკოვის ენერგოსისტემისათვის შეეერთებინათ სულ უფრო მეტი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ობიექტი, რომელთა ელექტროსიმძლავრე ასიათასობით კილოვატით აღირიცხება.

400-კილოვოლტიანი ელექტროგადაცემის ხაზი — ვოლგის ჰესი-მოსკოვი აღჭურვილია უნიკალური სამამულო მოწყობილობით. მისი ექსპლოატაციის გამოცდილებას ითვალისწინებენ დიდი სიმძლავრის ახალ ელექტროგადაცემათა დაპროექტებისა და მშენებლობის დროს. (საკდესი).

უდიდესი ბატარია

სტალინსკი. შეუპოვრად იბრძვიან სოციალისტურ ვალდებულებათა განაღდებისათვის შვიდწლედის პირველ წელს მარტენის ღუმელების მშენებლები. ამ დღეებში მათ კიდევ ერთი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. გახურებულია და შრება მძლავრი საკოქსე ბატარია ახალი მარტენის ღუმელისათვის.

აგრეგატი მოგვცემს 40 პროცენტით მეტ კოქსს, ვიდრე კომბინატის ყოველი სხვა უკვე მოქმედი საკოქსე ბატარია. ყველა საწარმოო პროცესი მთლიანად მექანიზებულია, ფართოდ არის გამოყენებული ავტომატიკა და ტელეხედვა.

მოკლე დროში მშენებლებმა დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს. ამოთხრილია დაახლოებით ასი ათასი კუბმეტრი მიწა, ჩადებულია დაახლოებით 20 ათასი კუბმეტრი ბეტონი, 4 ათასი ტონა არმატურა, დამონტაჟებულია 5 ათასი ტონა ლითონის კონსტრუქციები, გაყვანილია 9 კილომეტრი რკინიგზის ხაზი და 5 კილომეტრი მიწისქვეშა კომუნიკაციები, გაჭიმულია 20 კილომეტრი ელექტროკაბელი.

ოქროს ხელებიანნი!

ამ სანდომიან და ცქრიალა გოგონას ყველა იცნობს ზუგდიდის რაიონში. მისი სახელი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ ახლა ყველაზე პატარებსაც რომ ჰკითხოთ ნორა ჯინჭოლავაზე, გეტყვიან, ჭკადუაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეაო. შრომამ დიდი წარმატება მოუტანა კომკავშირელ გოგონას.

1957 წელს ნ. ჯინჭოლავამ რვაწლიანი სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. პირველ წელს როგორც ახალმოსულს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჰაბარეს. 1.200 კილოგრამი უნდა მოეკრიფა. ნორასთვის ოთხი როდი იყო პირველსავე წელს ამ დავალების შესრულება. მაგრამ დაძაბული შრომით გეგმას 300 კილოგრამით გადაამეტა.

შარშან ნორამ პირადად დაბარა და გახსნა ჩაის ბუჩქები, ფართობში დროულად შეიტანა ორგანული და მინერალური სასუქი. ამჯერად 1.500 კილოგრამი ჩაი უნდა მოეკრიფა. ფაქტიურად გეგმას დიდად გადააჭარბა — 2.428 კილოგრამი ჩაი მოკრიფა.

— ოქროს ხელები აქვს, ოქროს ხელები, — ხშირად გაიგონებთ მის შესახებ თანასოფლელებისაგან. მართლაც თავისი ბეჯითი შრომით ნორამ მშობლიური სოფელი ასახელა. წელს გეგმით 2.500 კილოგრამი ჩაი უნდა მოკრიფოს, მან კი ვალდებულება იკისრა 0,5 ჰექტარზე 4 ათასი კილოგრამი ჩაი მიიღოს.

ნორას ბევრ მეგობარს მისი ხაზეიმოდ აღებული ვალდებულება ტრაბახად მიაჩნდა. კოლმეურნეობის გამგეობა, მისი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები კი დიდ იმედს ამყარებენ ნორაზე.

კომკავშირელის სიტყვა და საქმე ერთია. მან 2 აგვისტოსათვის მოკრიფა 4.138 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და შვიდწლედის პირველი წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

რით მიაღწია ნორამ ასეთ შედეგებს?

იგი ჩაის ბუჩქებში დილის 7 საათიდან გვიან საღამომდე ტრიალებს. მოვლას არ აკლებს პლანტაციებს. ჩაი შრომატევადი კულტურაა, თუ კარგად მოუვლი — უხვ მოსავალსაც მოგცემს. ხშირად მოვლის წესებზე კოლმეურნეობის აგრონომს რჩევისათვის მიმართავდა. ბევრს კითხულობდა ნოვატორი მეჩაიეთა მუშაობის გამოცდილებაზე. წელს კარგად მოვლილ პლანტაციაში ჩაი საკრეფად უხვად შემოვიდა. კომკავშირელი გოგონა კი ნაზ დუყებს გაუხეშებას არ აცლის და ყოველდღიურად 80-90 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის კრეფს.

შვიდწლედის მოწინავე ადამიანის სიტყვა მტკიცეა. იგი ვალდებულებას გაანაღდებს. (საკ. კორ.).

ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲦᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ

შეჯიბრებაში ჩაბმულ რაიონებში

13 აგვისტო

მახარაძე. მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 160 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 21.400 ტონა ჩაი, ანუ შარშანდელზე 522 ტონით მეტი.

ზუგდიდი. ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 150 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 14.100 ტონა, ანუ შარშანდელზე 1.090 ტონით მეტი.

ქობულეთი. რაიონში მოკრიფეს 127 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან 13.633 ტონა, რაც შარშანდელთან შედარებით 86 ტონით მეტია.

ბალი. რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 90 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან 9.666 ტონა, ანუ შარშანდელზე 831 ტონით მეტი.

იცნოგდეთ, მათ გაანსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

13 აგვისტო

ცხაკაია. **ნინო ელიავამ** სოფელ ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 90 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილი აქვს 8.000 კილოგრამი. **თამარ გაბელიამ** უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 85 კილოგრამი ჩაი.

ლანჩხუთი. **ლიზა ტაკიძემ** სოფელ აცანის კოლმეურნეობაში მოკრიფა 58 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, დღიური ნორმა ორმაგად შეასრულა. **ცოცო ჩხაიძემ** მოკრიფა 54 კილოგრამი ჩაი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ციხანა ხვიჩიამ მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხორეთმოედნის კოლმეურნეობაში. ციხანამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 1.650 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

სურათზე: ც. ხვიჩია. ფოტო ი. დავითაშვილისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲙᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲓᲘᲡ, ᲐᲦᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ!

ადიგენში კურეულის აღებას ამზადებენ

როცა ჩაებნენ შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ადიგენის რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 10 ცენტნერი მარცვლეული, დროზე, უდანაკარგოდ აიღონ და დაბინაონ მოსავალი.

დადგა მოსავლის აღების ცხარე დღეები. იქ, სადაც პირობა არ დავიწყებიათ, საქმეც კარგად მიდის. კომბაინები კარგი საათის მექანიზმივით მუშაობენ. მინდვრად გასულა დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი.

სიხარულს მოუცავს სოფელ არლის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. მათ თავთავიანი მარცვლეული კულტურები 290 ჰექტარზე უთესიათ, კარგად მოუარეს და მოსავალმაც მოლოდინს გადააჭარბა. მოწინავე კომბაინერი თათეიშვილი თვითმავალი კომბაინით დღეში 10-12 ჰექტარზე იღებს მოსავალს და ჰექტარზე 14-15 ცენტნერ პურს ლეწავს. მცელავებიც სასახელოდ მუშაობენ. მოსავლის აღების პარალელურად წარმოებს თავთავების აკრეფა, ნამჯის შეგროვება, ნაკვეთებიდან გატანა და ხვნა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებში პიტეული შემოსულია, ზოგან კიდევაც გადამწიფდა, მოსავლის აღებას კი არ ჩქარობენ.

სოფელ დიდი სმადის ვიშინსკის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ტაბატაძე) მოსავალი კარგია, მის აღებასა და დაბინავებაზე კი ნაკლებად ზრუნავენ. აქ გრაფიკის მიხედვით ადიგენის სარემონტო-ტექნიკური სადგურის კომბაინერს ა. ფიდანიანს 2-დან 9 აგვისტომდე უნდა აეღო მოსავალი. ჯერ-ერთი, იგი ორი დღის დაგვიანებით მოვიდა, ხოლო 4 აგვისტოს სოფელშივე გადაბრუნა კომბაინი და დაზიანა. შემოწმებისას 7 აგვისტოს, კვლავ დაზიანა და სამ საათს უმოქმედოდ იდგა კომბაინი. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ოთხ სამუშაო დღეში მხოლოდ 7 ჰექტარზეა აღებული ხორბლისა და ესპარცეტის მოსავალი.

სოფელ პატარა სმადის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ნოზაძე) დაგვიანებით გაგზავნეს კომბაინი. 7 აგვისტოს კომბაინერმა სტეფანე ჩილინგარაშვილმა დაზიანა და რამდენიმე საათს მოაცდინა თვითმავალი კომბაინი, ხოლო ორ სამუშაო დღეში მხოლოდ 5 ჰექტარზე ჰქონდა მოსავალი აღებული. კომბაინს არა აქვს მარცვალმჭერები და ჩაწოლილი ყანის ასაღები სამარჯვები, რაც დიდ დანაკარგს იწვევს. ყოველ კვადრატულ მეტრზე 10-12 თავთავი რჩება. ეს აქ რატომღაც ნორმალურად მიიჩნიათ. ჯერაც არ დაუწყიათ ხელით აღებული პურის ლეწვა. ნაკვეთებიდან არ გაქრეთ ნამჯა, ხვნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სოფელ ბოლაჯურის კოლმეურნეობაში ცუდად როდი მუშაობენ კომბაინერები უშანგი და ქრისტეფორე ჩხიტუნიძეები, მაგრამ მათ სათანადოდ არ უწყობენ ხელს. ნაკვეთების გაუწმენდაობის გამო ცდება კომბაინები, დამხმარე მუშახელის გამოუცხადებლობის შედეგად მოსავლის აღებას დაგვიანებით იწყებენ. ასე მოხდა, მაგალითად, 4 და 7 აგვისტოს.

პურეულის მოსავლის აღებას მოუმზადებელი შეხვდა ქვემო ენთელის კოლმეურნეობა. აქ არ ჰყოფნით ტომრები, რის გამო ჭიანურდება გალეწილი ხორბლის საწყობებში გადაზიდვა. ხელს არ უწყობენ მექანიზატორებს. საწვავის დაგვიანებით მიტანის გამო კომბაინერმა ს. მერაბიშვილმა 4 აგვისტოს მუშაობა დილის 10 საათზე დაიწყო.

მსგავსი მდგომარეობაა ზანავის, წრის, ზემო ენთელის, ფხერის, შოყის, წახნის, ქვემენთისა და სხვა კოლმეურნეობებში.

მოსავლის აღების გაჭიანურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რაიონის კოლმეურნეობებში სანახევროდაც არ არის აღებული მოსავალი.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლის აღებაში ადიგენელებს დიდად უშლის ხელს ავტომანქანების ყაზურავების უქონლობა. ამ მიზეზით გაჩერებულია მანქანების ნახევარზე მეტი. ცეკავშირმა ვერ უზრუნველყო ტომრების საჭირო რაოდენობით გამოგზავნა. ზოგ კოლმეურნეობაში 150-200 ტომარა აკლიათ.

სარემონტო-ტექნიკურ სადგურს აკლია კომბაინის ხედერის თითები და მთელი რიგი სხვა ნაწილები, რის გამო მინდვრად ფერხდება დაზიანებული მანქანების რემონტი. თითქმის არცერთ კომბაინზე არ არის გაკეთებული მარცვალმჭერები და ჩაწოლილი ყანის ასაღები სამარჯვები.

მოსავლის აღების პარალელურად ნელი ტემპით მიმდინარეობს თივის აღება და სილოსის ჩაფება.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მოსავლის დაცდა არ უყვარს, მისი დროული აღება და დაბინავება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ბ. ხიდაშელი, ადიგენის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი აგრონომი; **შ. გურული,** რაიონული გაზეთ „ადიგენის კოლმეურნის“ რედაქტორი; **ჰ. ხვადაძე,** „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კომგაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

ადიგენი. ვახტანგ თათეიშვილი პურეულის მოსავალს იღებს სოფელ არლის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში. მთის რელიეფის ძნელი პირობების მიუხედავად, ამ კომბაინერმა მომკა 7 ჰექტარი. სულ დღემდე მომკილი აქვს 104 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა რვა ცენტნერი მარცვალი. უშანგი ჩხიტუნიძემ სოფელ ბოლაჯურის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 8 ჰექტარზე, სულ მომკა 88 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 9 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 8 ცენტნერისა. ქრისტეფორე ჩხიტუნიძემ ცხრა დღეში პურეული მომკა 75 ჰექტარზე და ჰექტარზე გალეწა 8 ცენტნერი ხორბალი.

პარტიული კონტროლი — შვიდწლედისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღი

აქტივზე დაყრდნობით კომისიები ადგილზევე იღებენ ქმედით ზომებს

ნართის გასხამეგის ხარისხი გაუმჯობესდა

• • •

საბჭოთა მუდამ სრულვყოფდეთ სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობისადმი პარტიული და სახელმწიფო კონტროლის ფორმებსა და მეთოდებს, რადგან ახლანდელ პირობებში კონტროლისა და შესრულების შემოწმების საკითხებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება და ყველა პარტიული ორგანიზაციის უურადღების ცენტრში უნდა იყოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

პარტიული კონტროლის კომისიების შექმნა დიდი მოვლენაა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. კომისიების მუშაობის სწორად მოწყობით მნიშვნელოვნად ამაღლდება და ახალ საფეხურზე ავა ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლიც; ეს ხელს შეუწყობს შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

გორის ბამბეულის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილია ორი კომისია, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას. ისინი პარტიულ ბიუროს მარტო სიგნალებს კი არ აძლევენ, არამედ პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივზე დაყრდნობით ადგილზევე იღებენ ქმედით ზომებს ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის კომისიაში არჩეულია შვიდი ამხანაგი. ესენი არიან საქსოვი ფაბრიკის სარემონტო განყოფილების უფროსი ნ. იორამაშვილი (თავმჯდომარე), საამქროს უფროსი ვ. ჩხარტიშვილი, წუნდებელი რ. ბეჟაშვილი, ინჟინერები ს. ცატურიანი, ა. კუსრაშვილი, მრთველი ა. პერლოვა, საქონლისმცოდნე შ. გოდერძიშვილი.

სართავ ფაბრიკაში ხშირი იყო უხარისხო ნართის გამოშვების შემთხვევები. ამას უურადღება მიაქცია პროდუქციის ხარისხის კონტროლის კომისიამ. ადგილზე მდგომარეობის დაზვრილებით შესწავლით კომისიის წევრები დარწმუნდნენ, რომ საქმის გამოსწორებისათვის საჭირო იყო მთელი რიგ ღონისძიებათა გატარება. კომისიამ საკითხი განსახილველად შემოიტანა პარტიულ ბიუროზე. მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა სწორდება.

ამ კომისიამ შეისწავლა აგრეთვე საქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელ საამქროში ქსელის ნართის მომზადების საქმე. აქაც გამოვლინდა ნაკლოვანებანი. კომისიის წევრები თვითონვე დაეხმარნენ საამქროს ხელმძღვანელობას ქსელის ნართის გახამების გაუმჯობესებაში. საქსელავ და სახამებელ განყოფილებაში განსაკუთრებული უურადღება მიექცა მანქანების მუშაობის სიჩქარის რეჟიმის დაცვას, რამაც გააუმჯობესა გახამების ხარისხი.

ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმების შესრულების კომისია აგვისტოში მეთვალყურეობას უწევს სართავ საამქროში მტვრის გამფერთხი მოწყობილობისა და გაწყვეტილი ძაფის შემსრუტი დანადგარების დამონტაჟების სამუშაოებს. ამ კომისიის წევრები შ. ხმალაძე, ჯ. არშაკუნი და ი. კობერიძე სწავლობენ შიდასაფაბრიკო ტრანსპორტის მექანიზაციის საკითხების შეუსრულებლობის მიზეზებს.

კომისიებს აქვთ მუშაობის კონკრეტული გეგმები, კომბინატის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა კარგად იციან კომისიების ადგილსამყოფელი.

მუშაობის პირველი ნაბიჯები იმას მოწმობს, რომ კონტროლის კომისიები დიდად დაეხმარებიან კომბინატის კოლექტივს ახალ საწარმოო გამარჯვებათა მიღწევაში.

დ. ბედოშვილი,

გორის ბამბეულის კომბინატის პარტიიურის მდივანი.

არ არსებობს ცუდი კოლმეურნეობა, არიან ცუდი ხელმძღვანელები

...შედიხართ სოფელში ფართო საავტომობილო გზით. თვალსა და გულს ახარებს დაფნის მარადმწვანე ბაღნარებში ჩაფლული ორსართულიანი ოდა-სახლები, ლამაზად მოწყობილი ეზოები...

ამის შემდეგ საინტერესოა საკოლმეურნეო ცენტრის ნახვა, მაგრამ მოლოდინი გიჭარწყლდებათ...

დიდიხანია ხობის რაიონის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის კანტორა ნაჭირავები შენობაშია შეხიზნული. ორი წელია კოლმეურნეობის კანტორის მშენებლობა ჭიანურდება. სახურავიანგარეული, საცოდავად გვერდზე გადახრილი სიმინდის სათავსები, გაუმწვანებელი და ულამაზო საკოლმეურნეო სოფლის ცენტრი! ასეთ რამეს იშვიათად შეხვდებით დასავლეთ საქართველოს სხვა სოფლებში.

კოლმეურნეობა წლითიწლობით უკან მიდის. თუ 1957 წელს დაფნის მიღებული შემოსავალი 280.700 მანეთს შეადგენდა, 1958 წელს იგი 150.000 მანეთამდე შემცირდა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კი სახელმწიფოს მხოლოდ 59 ათასი მანეთის დაფნა ჩაბარდა.

კოლმეურნეები ჩაბმული არ არიან საკოლმეურნეო შრომაში. ბევრი მათგანი პირად მეურნეობას უფრო ავითარებს. ვ. ჯობავას ოჯახმა სახელმწიფოს 48 ათასი მანეთის დაფნა ჩაბარა. მისი ოჯახი კი საკოლმეურნეო შრომაში ნაკლებად იღებს მონაწილეობას. ი. კვიკვინია (თავმჯდომარის ძმა) ხეთის სტაყეო მეურნეობაში მუშაობს, მის მეუღლეს წელს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია კოლმეურნეობაში, ოჯახმა კი სახელმწიფოს მიმდინარე წლის ექვს თვეში

როცა სოფლის მესვეურები უმოქმედოდნენ

225 კილოგრამი დაფნა ჩაბარა. საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობა არ მიუღიათ მ. ჯობავას, ლ. ლომაიას, ლ. კვიკვინიას, ი. კვიკვინიას, ო. ჯობავას, ე. ლომაიას და შ. კვარაცხელიას ოჯახებს, რომლებმაც საკარმიდამო ნაკვეთიდან დაფნის დიდი მოსავალი მიიღეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივ. კვიკვინია, პარტორგანიზაციის მდივანი კ. კვიკვინია სრულ უმოქმედობას იჩენენ. ამის შედეგად შარშან კოლმეურნეობამ 120 ჰექტარი სიმინდის ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5,5 ცენტნერი მარცვალი მიიღო.

უარესი მდგომარეობაა ამავე სოფლის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე კ. ტურავა, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ხასია). შრომისუნარიან 186 კოლმეურნეობიდან საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმულია 104 წევრი. ამის გამო დაფნის ბუნებრივი პლანტაცია, რომელსაც აქ 42 ჰექტარი უჭირავს, ბარდ-ეულით არის დაფარული. შარშან კოლმეურნეობამ 42 ჰექტარიდ დაფნის პლანტაციიდან მიიღო 1.325 კილოგრამი ფოთოლი, ეს მაშინ, როცა ამავე სოფლის მეადაფნე მოსახლეებმა სახელმწიფოს 40 ტონა დაფნა ჩაბარეს.

მსგავსი მდგომარეობაა ხეთის სტალინისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

საკმარისია ითქვას, რომ ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ლატარია, პარტორგანიზაციის მდივანი შ. ესებუა) შარშან 18 ჰექტარი დაფნის პლანტაციიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო მხოლოდ 25 კილოგრამი დაფნის ფოთოლი, წელს ამავე კოლმეურნეობის წევრები დაფნის უხვ მოსავალს იღებენ. მაგალითად, კოლმეურნე შ. აბაკელიას ოჯახმა კოლმეურნეობაში გამოიმუშავა 28 შრომადღე, ბეგლარ ბუკაას ოჯახმა — 3 შრომადღე. გრ. ლატარიამ შარშან 23 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო საკარმიდამოდან სახელმწიფოს 50.300 მანეთის დაფნა ჩაბარა.

პირველი მაისის დიმიტროვისა და წერეთელის, ხეთის სტალინისა და ჭავჭავაძის, ხამისკურის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობები ერთ ზონაში, ერთმანეთის მეზობლად მდებარეობენ. ყველა მათგანს დაფნის ბუნებრივი პლანტაცია აქვს, სამუშაო პირობებიც ერთნაირია. მათგან განსხვავებით ხამისკურის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. კუკავა) ამ უკანასკნელ წლებში შრომადღეებზე ბევრ ფულსა და სიმინდს ანაწილებს. აქ დაფნის პლანტაციის მოვლას განსაკუთრებული უურადღება ექცევა.

ხამისკურელებს დაფნა 32 ჰექტარზე აქვთ გაშენებული. კოლმეურნეებმა ეკალ-ბარდისაგან გაწმინდეს ფართობი და დაფნის უხვი მოსავალი მიიღეს. აქ ყოველწლიურად იზრდება დაფნის ფოთლის მოსავლიანობა, ხოლო დაფნით მიღებულმა შემოსავალმა მილიონ მანეთს მიაღწია.

ამჟამად რაიონში ხამისკურის კოლმეურნეობა ყველაზე დიდ შემოსავალს იღებს როგორც ფულად, ისე ნატურით. 1957 წელს კოლმეურნეობამ ერთ შრომადღეზე გასცა 10 მანეთი ფულად და 3 კილოგრამი სიმინდის მარცვალი, ხოლო შარშან შრომადღეზე მიიღეს 12 მანეთი და 3 კილოგრამი სიმინდის მარცვალი. წელს აქ გათვალისწინებულია ერთ შრომადღეზე დაარიგონ 18 მანეთი და 4 კილოგრამი მარცვალი.

რატომ სჯობნიან ხამისკურელები ხეთელ და პირველმაისელ კოლმეურნეებს? იმიტომ, რომ ხამისკურელებს უნარიანი და ენერგიული ხელმძღვანელობა ჰყავთ. აქედან დასკვნა: არ არსებობს ცუდი კოლმეურნეობა, არიან მხოლოდ ცუდი ხელმძღვანელები.

ბ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ტექნიკური პროგრესი — შვიდწლედის დედაბოძი

ახალი ძვირფასი პროდუქცია

რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. წარმოების პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შედეგად საწარმო განუხრელად ადიდებს პროდუქციის გამოშვებას. მიმდინარე წლის 7 თვეში სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოშვებულია იმდენი ცემენტი, რაც საკმარისია 100-ზე მეტი სამსართულიანი 18-18 ბინიანი სახლისათვის. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 1.2 პროცენტით. ეკონომიური ფონდში შეტანილია 2.700 ათასი მანეთი.

ახლახან ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ობიექტი — ფიბროლიტის ფილების საამქრო. ფიბროლიტის ფილები — ეს ძვირფასი სამშენებლო მასალა დაახლოებით 4-5 წლის წინ შეიძლებოდა მხოლოდ გამოფენებზე გვენახა. რუსთავში ფიბროლიტის პირველი ფილები გამოშვებულ იქნა ამერიკაკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხის დამამუშავებელ კომბინატში. ეს იყო გასულ წელს. მაგრამ კომბინატის ეგრეთწოდებულ ფიბროლიტების საამქროს დიდი სიმძლავრე არა აქვს. მას მხოლოდ ჩვენი ქარხნის ფიბროლიტების საამქროსთან ერთად შეუძლია დაკმაყოფილოს რუსთავის მშენებლთა გადიდებული მოთხოვნილება.

ფიბროლიტების ახალი საამქროს მშენებლობაში გადამწყვეტი როლი თვით ქარხნის კოლექტივმა შეასრულა. საექსპლოატაციოდ საამქროს დროულად გადაცემისათვის გამოყენებულ იქნა ყველა არსებული რეზერვი. მარტო ჩვენი ძალებით ასე მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, რომ საოთანადო დახმარება არ აღმოეჩინა ამერიკაკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამშენებლო სამმართველოებს. და აი ახალი საამქრო აშენებულია. მისი წლიური სიმძლავრე ათასობით კუბური მეტრია. პირველ დღეს გამოშვებულ იქნა ათობით კუბური მეტრი ფიბროლიტის ფილა.

ფიბროლიტის ფილების ტექნიკური წარმოება მეტად უბრალოა. ამ საუკეთესო სამშენებლო მასალის მისაღებად საჭიროა ხე-ტყის ბურბუშელა და ცემენტი.

ფიბროლიტის ფილებს იყენებენ როგორც კონსტრუქციულ მასალად საცხოვრებელი სახლების ტიხრებისათვის და სართულთაშორისი გადახურვისათვის, ისე საიზოლაციო მასალად.

ამჟამად ქარხანაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს წარმოების პროცესების შემდგომი ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილია კომისია, რომელმაც შეიმუშავა პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმაში მოცემულია ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც უნდა განხორციელდეს მიმდინარე შვიდწლედში ტექნიკური პროგრესის დარგში. შემუშავებულია აგრეთვე მინიმალური დანახარჯებით ქარხნის რეკონსტრუქციის გეგმა, რომლის განხორციელება საშუალებას მოგვცემს ასეულ ათასობით მანეთამდე გავზარდოთ ცემენტის გამოშვება.

ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში მიიღო მეტად სერიოზული გადაწყვეტილება — განახორციელოს შრომის მტკიცე ორგანიზაცია, დანერგოს შრომის პროცესების ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია და შვიდწლედში მოიპოვოს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელი.

ი. ზოდელავა,

რუსთავის ცემენტის ქარხნის დირექტორი.

ბიათურის მადაროებში და კარიერებზე სახელი გაითქვა ახალგაზრდა მექანიკოსტორემ მიხეილ დეკანოიძემ, რომელიც ახლა ვოროშილოვის სახელობის მადაროთსამმართველოს კარიერზე ფუჭი ქანების გადახსნაზე მუშაობს. იგი ცვლაში ორჯერ მეტი მოცულობის ფუჭ ქანს ხსნის, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, ყოველთვის ვადაზე ადრე და სანმოუშოდ უშუალდებს სამუშაო ფრონტს მარგანეცის მომპოვებლებს.

• • •

სურათზე: ფუჭი ქანების გადამხსნელი ექსკავატორი კარიერზე. წრეში — მექანიკოსტორე მიხეილ დეკანოიძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

წინ არიან კომუნისტები

უკანასკნელ წლებში ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ქვანახშირის გამდიდრების ახალი, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის. წინათ ფაბრიკაში არ აწარმოებდნენ ე. წ. შუალედური პროდუქციის ხელმეორედ გარეცხვას, რითაც გამამდიდრებლები კარგავდნენ კონცენტრატის მეტი რაოდენობით დამზადების ერთ-ერთ დიდ შესაძლებლობას. ამ საკითხს უურადღება მიაქცია პარტბიურომ. კომუნისტთა წინადადებით პარტბიუროს სხდომაზე შეიქმნა სპეციალისტებისაგან შემდგარი ავტორიტეტული კომისია, რომელსაც დაევალა აღნიშნული საკითხის დეტალური შესწავლა. კომისიამ, რომელსაც კომუნისტი ლ. მესარქიშვილი ხელმძღვანელობდა, გულდასმით შეიმუშავა სათანადო ღონისძიებები და დააწესა მათი განხორციელების ვადები, ამის შემდეგ გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა. პარტბიუროს ორი წევრი თვალყურს ადევნებდა დასახულ ღონისძიებათა შესრულების ხარისხსა და დაწესებული ვადების ზუსტად დაცვას. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ კარგი შედეგი გამოიღო. ფაბრიკაში დაინერგა შუალედური პროდუქციის მეორედ გარეცხვის ტექნოლოგია. მარტო ამ სიახლის განხორციელებით ფაბრიკამ კონცენტრატის გამოშვება სულ მცირე 2,5 პროცენტით გაზარდა.

ფაბრიკის ყველა სართულზე 43 ტრანსპორტიორი დგას. წინათ ისინი მოძრაობაში მოჰყავდა ღვედური ამძრავები. მაგრამ ღვედური ტრანსმისიის სისტემამ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. საქმე ის იყო, რომ ღვედები სწრაფად ცვდებოდა, რაც იწვევდა ავარიებს, მოცდენას, გამდიდრების ტექნოლოგიური ციკლის ჩაშლას. პარტიულმა ბიურომ ქარხნის რაციონალიზატორთა მთელი შემოქმედებითი აზრი წარმართა ამ საკითხის მოსაგვარებლად.

— ჩვენ, წარმოების ხელმძღვანელები, — განაცხადეს ფაბრიკის მეთაურებმა მუშათა ერთ-ერთ კრებაზე, — უძლურნი ვართ აღმოვფხვრათ ღვედური ტრანსმისიით შექმნილი სიძნელეები. მოდით ყველამ ვიფიქროთ...

კრების შემდეგ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ბიუროში ნოვატორთა მრავალი წინადადება შემოვიდა. გამოიძებნა საკითხის გადაჭრის გზები. ტრანსპორტიორების ნაწილს მოხსნეს ღვედური ამძრავები და დადგეს მძლავრი რედუქტორები. ახლა აქ ტრანსპორტიორები მოძრაობაში მოჰყავს ამ რედუქტორებს. ასეთმა ღონისძიებამ საქმეს უშველა. მინიმუმამდე შემცირდა ტრანსპორტიორების ავარიები, თითქმის მთლიანად მოისპო ხმაური, გაუმჯობესდა ტექნიკური უშიშროება.

პროდუქციის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის უნდა იდგეს საწარმოს ხელმძღვანელთა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. და ჩვენთან ეს მართლაც ასეა. წინათ ფაბრიკაში ადგილი ჰქონდა ქვანახშირის დანაკარგებს. ეს ერთნაირად აღელვებდა კომუნისტებსა და უპარტიო მუშაკებს, ქარხნის მთელ კოლექტივს.

დანაკარგების აღკვეთის საკითხმა ღრმად ჩაიფიქრა რაციონალიზატორები. მაგრამ ყველაზე მეტად ამ საქმით კომუნისტი რაციონალიზატორი ი. გოგიბერაშვილი იყო დაინტერესებული.

— არა. ჩვენ ვერ დავუშვებთ „შავი ოქროს“ ასეთ განიავებას. ერთი გრამი სათბობიც კი არ უნდა გაჰყვეს ფუჭ ქანებს, — თქვა მან ერთხელ თავის თანამოსაგრეებთან საუბარში.

ამ საკითხის გადაჭრის გზა მალე მოძებნილ იქნა. ი. გოგიბერაშვილის წინადადებით ფაბრიკაში დაამონტაჟეს ორიგინალური კონსტრუქციის მოძრავი ცხრილი. იგი მექანიკური რხევისა და წყლის საშუალებით ფუჭ ქანებს აცლის ძვირფას ენერგეტიკულ სათბობს. ახლა ფაბრიკა ყოველდღიურად 44 ტონა დამატებით ენერგეტიკულ ქვანახშირს იძლევა.

ეს მაგალითები გამონაკლისი როდია. ამჟამად ფაბრიკას ორმოცდაათზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს. ამ წინადადებათა თითქმის ნახევარი უკვე განხორციელდა.

ა. ჯიშიაშვილი,

ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილე.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის № 2 მექანიკური საამქროს მუშა ზურაბ გაგნიძე ამუშავებს „ტტ-43“ ჰიდრავლიკური ჩარხის დეტალებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

შვიდწლედში მოვიპოვეგთ კომუნისტური შრომის საწარმოს სახელს — აცხადებენ რუსთაველი მეცემენტეები

ტყიბულელი კომუნისტები — ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ორგანიზატორები

ლენინგრადელი თანამემამულე

ჯანელიძე განთქმული გვარია. იგი განთქმული გახადა ლენინგრადში და მორს მის ფარგლებს იქით გამოჩენილმა საბჭოთა ქირურგმა იუსტინე ჯანელიძემ, რომლის სახელიც ამჟამად ჰქვია ლენინგრადის სასწრაფო დახმარების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. ვერა ინბერის „ლენინგრადის დღიურში“ გვითხულობთ: „ქალაქზე მტრის ავიაციის მორიგი თავდასხმის დროს საოპერაციოში მოიყვანეს ქალიშვილი, რომელსაც თეძო ჰქონდა დამსხვრეული. ოპერაციას უკეთებდა ჯანელიძე მისთვის დამახასიათებელი სიზატფოთა და ხელის სიმტკიცით. საოპერაციოში სისუფთავე და სრული მყუდროება სუფევდა. არავითარი ხერვიულობა არ იგრძნობოდა. უეცრად ახლოს გაისმა საზენიტო ქვემეხების გრიალი. ნიადაგი შეირყა, მიხეზმა ზრიალი დაიწყო. ყველამ უნებლიეთ იბრუნა პირი გასასვლელისაკენ.

— ოპერაცია ჯერ არ დამთავრებულა! — მკაცრად თქვა ჯანელიძემ.

და მხოლოდ მაშინ, როცა გრიალი იქვე გვერდით გაისმა, საოპერაციო მაგიდა გადაიტანეს სხვა ოთახში, სადაც მინები არ იყო“.

ასეთი იყო ჯანელიძე — მამა. დიდი მორალის, ძალაი მოვალეობის ადამიანი, ნიჭიერი მეცნიერი. ასეთები უკვალოდ არ მიდიან.

ჩვენ ვისაუბრებით მის შვილს — გიორგი იუსტინეს-ძე ჯანელიძეს. იგი ლენინგრადელია. ლენინგრადში დაიბადა, გაიზარდა, სწავლობდა და ახლა მუშაობს. იგი პროფესორია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ვინც იცნობდა ჯანელიძეს — მამას, ახლა მის თვისებებს შვილში ამჩნევს. ეს არის მომთხოვნელობა, სიმტკიცე, შრომისმოყვარეობა და, რა თქმა უნდა, ნიჭი, ხალასი ნიჭი.

როცა ჯანელიძე — მამა თავისი ოსტატობით სიცოცხლეს უნარჩუნებდა მტრის ბლოკადის მსხვერპლებს, გიორგი იუსტინეს-ძე სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფიზიკის კათედრაზე აწყვიდა. საღამოობით მამა-შვილი ლაპარაკობდნენ მომავალზე, როცა ომი დამთავრებოდა...

ადამიანი მთელი მონდომებით უნდა ემსახურებოდეს იმ საქმეს, რომელიც მან აირჩია. მამის ნაანდერძევი ეს კეთილშობილური დევიზი გიორგი ჯანელიძემ თავის დევიზად გაიხადა.

ის, რასაც იგი დღეს აკეთებს, მეტად რთულია პოპულარული გადმოცემისათვის. ეს არის დრეკადობის თეორია, აგრეთვე ვიბრაციისა და რხევის თეორია, რომლის განვითარებაზე იგი უკანასკნელ წლებში მუშაობდა. დღეს რომ მოვიაროთ საკონსტრუქტორო ბიუროები, სადაც იბადება ახალი უჩვეულო აგრეგატების, ხომალდების, თვითმფრინავების, ჩარხების შექმნის აზრი, დავრწმუნდებით, რომ ამ საინჟინრო ქმნილებათაგან ვერცერთი ვერ განხორციელდება, თუ არ არის დრეკადობის უაღრესად ზუსტი მათემატიკური გაანგარიშებანი. იგივე გაანგარიშებანი სჭირდებათ ხიდების, შენობების, გვირაბების მშენებლებს. თუ

ოჯახის ტრადიციის მემკვიდრე

დღეევანდელ შვიდწლიან გეგმას მივმართავთ, ცხადი გადება, რამდენად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს გიორგი ჯანელიძის შრომებს.

იგი ახლა მეცნიერებისა და წარმოების საქმით თანამეგობრობას განსაზღვრავს, ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრას ხელმძღვანელობს და უაღრესად მჭიდრო კავშირი აქვს პრაქტიკოს ინჟინრებთან.

პროფესორ ჯანელიძის კათედრა ერთ-ერთი წამყვანია ინსტიტუტში სწორედ იმიტომ, რომ მისი კოლექტივი არა მარტო პედაგოგიურია, არამედ კვლევითიც. მარტო გიორგი ჯანელიძეს ეკუთვნის 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა, რომელთა მეტი ნაწილი დრეკადობის თეორიას ეხება. უთეორიოდ კი, როგორც ცნობილია, პრაქტიკა მკვდარია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯანელიძე სათავეში უდგას ფიზიკა-მექანიკის ფაკულტეტს — ჩვენს ქვეყანაში პირველსა და ჯერჯერობით ერთადერთს, რომელიც დაარსებულია ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის აკადემიკოს ა. იოფეს ინიციატივით. რას ნიშნავს ეს? უწინარეს ყოვლისა ეს დიდი პედაგოგიური დატვირთვაა ჯანელიძისათვის, ვინაიდან ამ დისციპლინას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შვიდწლიან გეგმაში.

— ყველაზე საყვარელი ჩემი დღე კვირაა. და იცით რატომ? ლექციები არ არის და მთლიანად შეიძლება მეცნიერულ მუშაობაში ვიყო ჩაბმული, — ბუმბრობს გიორგი იუსტინეს-ძე.

მაგრამ ეს ხუმრობა სავსებით შეესაბამება სინამდვილეს. ეს ადამიანი იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც საყვარელ სამუშაოზე ისვენებს.

ვინც ასე გატაცებულია თავისი პროფესიით, მას ყოველთვის აქვს ბედნიერი უნარი — თავის გარშემო მყოფთ გადასდოს ენთუზიაზმი. ასეთ ადამიანთან მუშაობა სასიამოვნოა. ამიტომ გიორგი ჯანელიძის უახლოესი თანამშრომლები არა მარტო პატივს სცემენ მას ღრმა ერუდიციისათვის, არამედ კიდევაც უყვართ იგი მომხიბლავი ქცევა-სათვის, იმისათვის, რომ მან დროზე ხუმრობაც იცის. რაიმეს მოყოლაც რაიმეს მარჯვედ შეძნევეაც. ამაში იჩენს თავს მისი ეზოვანი მრავალმხრივობა.

— რაზე მუშაობთ ახლა? — ეკითხეთ პროფესორს.

გიორგი იუსტინეს-ძემ გვიჩვენა სქელი დასტა ელექტრული ფურცლები. ეს მისი წიგნია, დრეკად რხევათა დარგში მრავალი წლის კვლევითი მუშაობის ნაყოფი, რომელიც ესოდენ ესაჭიროება ახლა ათასობით ინჟინერსა და მეცნიერს.

— ამ საკითხს ახლა, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, — კმაყოფილებით ამბობს პროფესორი ჯანელიძე, — და ძალიან გამახარა იმან, რომ სკკპ XXI ყრილობაზე გამოითქვა სურვილი შეიქმნას რხევათა ინსტიტუტი. ჩვენს ხანაში, როცა წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ფართო გზაზე გამოდის, ეს საჭესებით დროულია.

გამოდიოდათ პროფესორ ჯანელიძის კაბინეტიდან, სადაც ბევრი ტექნიკური დისციპლინის დამაარსებელ მეცნიერთა პორტრეტები ჰკიდია, და ვფიქრობთ თავმდაბალ ახალგაზრდა და ნიჭიერ მეცნიერზე — ჯანელიძეთა სახელოვანი გვარის შესანიშნავი ოჯახური ტრადიციების გამგრძელებელზე.

ვ. იუნოშევა,
ო. კარიშევი.

ქ. ლენინგრადი.

პროფესორი გიორგი ჯანელიძე და მისი მეუღლე ათვალიერებენ ახალ კინოკამერას.

ფოტო ო. კარიშევისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოსის ფოსტა



გამოჩენილი ქართველი მეცნიერი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი მრავალი წელია მუშაობს ჯერ ლენინგრადის პავლოვისა და ბეხტერევის სახელობათა ინსტიტუტებში, შემდეგ — თბილისში თანამედროვე ფსიქონევროლოგიის ძირითად საკითხებზე. მას შეფოდური განათლება მიღებული აქვს ლენინგრადში პავლოვისა და ბეხტერევის სახელობათა ინსტიტუტში და ლაბორატორიებში.

მუშაობს რა ამ საკითხებზე, ა. ზურაბაშვილმა დღემდე გამოაქვეყნა 130 სამეცნიერო შრომა, რომლებიც დაბეჭდილია ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე, ხოლო მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მის მოწფეთა მიერ შესრულებულია დაახლოებით 660 შრომა.

თანამედროვე ფსიქონევროლოგიის საკითხებზე მეცნიერული შრომის გაფართოება და გაღრმავება მოითხოვს ამ დარგის სპეციალისტთა აღზრდას. ეს კარგად აქვს შეგნებული ჩვენს სახელოვან აკადემიკოსს და ამიტომაც ყოველნაირად ხრუნავს ახალი კადრების აღზრდისათვის. ა. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით დაცულია 8 სადოქტორო და 22 საკანდიდატო დისერტაცია.

ა. ზურაბაშვილის მიერ შესრულებული 130 შრომიდან 8 მონოგრაფიულია. მან ქართულ ენაზე შეადგინა სახელმძღვანელო „ფსიქიატრია", რომელითაც სარგებლობს ექიმთა საზოგადოებრიობა და სტუდენტობა.

ა. ზურაბაშვილი თავის კვლევითს მუშაობაში თავიდანვე ეყრდნობოდა მოწინავე პროგრესული მეცნიერების მონაცემებს და ამ ჯგუფის შემოქმედებითად წყვეტდა ფსიქონევროლოგიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. პირველი პრობლემა, რომელიც მის წინაშე დადგა — ეს იყო დებულება: ფსიქიკური ანუ სულიერი ფუნქცია არის ტვინის ფუნქცია, ხოლო ავადმყოფური სულიერი ფუნქციები ანუ სულით ავადმყოფობა — ავადმყოფური თავის ტვინის შედეგია.

სწორედ ამიტომ ჯერ ლენინგრადში, შემდეგ კი საქართველოში თავისი შემოქმედებითი მუშაობისას მეცნიერის ყურადღებას იპყრობდა ადამიანის თავის ტვინის ნატიფი სტრუქტურის ანუ აღნაგობის შესწავლა.

ეს არის პირველი, ძირითადი უბანი მისი შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობისა. ამ დარგში მან აღმოაჩინა მთელი რიგი ახალი ფაქტები და წამოაყენა ახალი დებულებები ადამიანის თავის ტვინის განვითარების, მისი ნატიფი შენების და სხვადასხვა უბნების ურთიერთ კავშირის შესახებ. ახალმა მასალებმა და ახალმა დებულებებმა სულ ახალი შუქი მოჰფინა ცოდნას თავის ტვინის მუშაობის შესახებ და მოგვცა ახალი შესაძლებლობა გავრკვეულიყავით თავის ტვინის სხვადასხვა ავადმყოფობებში და პირველ რიგში სულით ავადმყოფობებში.

ამ დარგში „ყვავილზე" მნიშვნელოვან შემოქმედებითს შედეგს წარმოადგენს ის მასალები, რომლებიც ეხება ადამიანის თავის ტვინის უჯრედების ურთიერთკავშირს. ა. ზურაბაშვილის მიერ დამტკიცებულია და განვითარებულია ახალი დებულებები და ახალი მიმართულება სწორედ ზემოაღნიშნულ ნერვულ უჯრედთა ურთიერთკავშირის შესახებ. კავშირი უჯრედებს შორის ხორციელდება უჯრედების ნერვული ბოჭკოს დაბოლოების საშუალებით, რომელსაც მეცნიერებაში სინაფსს უწოდებენ. ა. ზურაბაშვილის მიერ დამტკიცებულია, რომ უჯრედების სინაფსი ყველაზე მგრძნობიარე ელემენტია, რომელიც ყოველგვარი ავადმყოფობის დროს პირველ დარტყმას იღებს და ყველაზე ადრე ზიანდება. ამავე დროს მის მიერ დამტკიცებულია, რომ თუ დროზე იქნა მიღებული ჯეროვანი ზომები, სინაფსების ავადმყოფური თვისებები, სანამ ისინი ჯერ კიდევ ღრმა არ არის, შესაძლოა ატარებდეს აღდგენითს, ან შექცევადს ხასიათს. აღნიშნულ პრინციპზე ამჟამად აგებულია მთელი რიგი თერაპიული დახმარება სულით ავადმყოფობათა დროს და საერთოდ თავის ტვინის ავადმყოფობის დროს. ამ უბანზე ა. ზურაბაშვილს მთელი 30 წლის ნაყოფიერი შრომა შეჯამებული აქვს მსოფლიოში ცნობილ თავის მონოგრაფიაში „სინაფსები და ნერვული უჯრედების აღდგენადობა" გამოცემული სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოსკოვში 1951 წელს. ეს შრომა, შეესებული და შესწორებული, 1958 წელს გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ (რუსულ ენაზე).

ზემოაღნიშნული მუშაობა აკადემიკოს ზურაბაშვილისა მუდამ მიმართული იყო ფსიქონევროლოგიის და, შეიძლება ითქვას, თანამედროვე კლინიკური მედიცინის ყველაზე უმძიმესი და ურთულესი პრობლემის გადაჭრისაკენ. მხედველობაში გვაქვს ისეთი ძნიმე დაავადება, როგორიც არის ე. წ. შიზოფრენია.

ა. ზურაბაშვილმა საკუთარი სინაფსოლოგიური გამოკვლევები პირველ რიგში შიზოფრენიის პრაქტიკისა და თეორიის საკითხების გადასაჭრელად გამოიყენა. მის მიერ დადგენილია, რომ შიზოფრენია პირველ რიგში ცვლის ტვინის ქერქული სინაფსების დაავადება, რომ სინაფსების დაავადება შიზოფრენის პირველ სტადიაში აღდგენადია, რომ. იგი განკურნებადი ავადმყოფობაა.

ხსენებული პრინციპების გამოყენების გზით მან ახალი მეთოდური წესები წარმოადგინა შიზოფრენიის მკურნალობაში, რომლებითაც ამჟამად ხელმძღვანელობენ ჯეროვანი ფარმაკოლოგიური ბაზა, ისე სსრ კავშირში. შიზოფრენიის შესახებ ხსენებული მასალები აკად. ა. ზურაბაშვილს მიერ შეჯამებულია მის მონოგრაფიაში „შიზოფრენიის თეორიის თანამედროვე დონის შესახებ", რომელიც გამოცემულია საქართველოში, 1958 წელს. მას დართული აქვს შრომის შემაჯამებელი მიმოხილვა ფრანგულ ენაზე. უნდა ითქვას, რომ ქართველი მეცნიერის ამ ორმა მონოგრაფიამ სინაფსებისა და შიზოფრენიის შესახებ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც სსრ კავშირში, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, აგრეთვე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

„ძვირფასო აკადემიკოსო, — სწერენ ქართველ მეცნიერს ჩინეთიდან, — — მივიღეთ თქვენი ორი წიგნი. ეს დიდი დახმარებაა ჩვენს სამეცნიერო-კვლევითს და სასწავლო მუშაობაში. პეკინის სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკა დიდად დავალებულია თქვენს წინაშე".

„უღრმეს მადლობას და კმაყოფილებას გამოვთქვამ თქვენი შრომების მიღების გამო", — წერს ა. ზურაბაშვილს ბრნოდან (ჩეხოსლოვაკია) გამოჩენილი ჩეხი ფსიქონევროლოგი პროფესორი ჩერნი.

ასევე აღფრთოვანებულ წერილს უგზავნის აკადემიკოს ზურაბაშვილს პოლონელი პროფესორი მაკუხი (ვარშავა).

აკადემიკოსთან საინტერესო საუბრის დროს მდივანმა ქალმა შემოიტანა ახალი ფოსტა. საზეიმოდ მარი მეცნიერი ხსნის კონვერტს. იგი ჩეხოსლოვაკიიდან არის. აკადემიკოსს პრაღაში იწვევენ ფსიქიატრთა საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, აცნობებენ მას ამ კონგრესზე თავისი მოხსენების რეგლამენტს.

„სიხარულით ვეღით თქვენს მონაწილეობას კონგრესში და გითვლით გულითად სალამს"! — სწერს დასასრულ ა. ზურაბაშვილს დოქტორი ე. ვოლფი.

„უაღრესად დიდ მადლობას გითვლით, ბ-ნო აკადემიკოსო, ესოდენ დიდი შედეგებისათვის, რაც თქვენ მიღებული გაქვთ სინაფსებისა და შიზოფრენიის პრობლემების გადაწყვეტის დარგში. სიამოვნებით გავეცანი თქვენს შრომებს". ამ სტრიქონების ავტორია დემოკრატიული გერმანიის ცნობილი მეცნიერი პროფესორი კირშე ბერლინიდან. მას თავის შრომებში წყაროებად მოყვანილი აქვს აკად. ზურაბაშვილის 3 ადრინდელი შრომა, და ბოდიშს იხდის, რომ ვერ შეიტანა ეს ორი თვალსაჩინო შრომა, რადგან მაშინ ხელთ არა ჰქონდა.

აგერ წიგნი ოსლოდან (ნორვეგია), ინგლისურ ენაზე გამოცემული. მისი ავტორია ცნობილი პროფესორი ასტრუპი. წიგნს იგი უძღვნის ა. ზურაბაშვილს წარწერით: „უღრმესი მადლობის ნიშნად". იგი წერს, რომ ზურაბაშვილის ღრმა მეცნიერულ ნაშრომებს გამოიყენებს თავის მომავალ წიგნებში.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი მიწვეული იყო კანადაში, სასკატხევანის უნივერსიტეტის ე. წ. ოქროს იუბილეზე. იქიდანვე უგზავნის ცნობილი პროფესორი ოლშევსკი თავის შრომებს და მოლობას უთვლის სინაფსების შესახებ დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევებისათვის, რომლებსაც როგორც იგი წერს, მუდამ გამოიყენებს თავის მეცნიერულ მოღვაწეობაში.

კანადის ქალაქ მონტრეალიდან ცნობილი მეცნიერი ნევროპათოლოგი ჯესპერი გამოთქვამს აზრს აკადემიკოს ზურაბაშვილის შრომა შიზოფრენიის პათოფიზიოლოგიის შესახებ დიდად სასარგებლო და მნიშვნელოვანია.

„თქვენი შრომები შიზოფრენიის შესახებ ძალიან საინტერესოა. მე ისინი ყოველთვის გამომადგება მეცნიერულ მუშაობაში", — სწერს ქართველ მეცნიერს პროფესორი სურია (ლონდონი).

ცნობილმა ფრანგმა ნევროლოგმა პროფესორმა ბარმა, რომელიც მუშაობს ქალაქებში ლიონსა და ნანსში, დიდი მადლობით აღნიშნა ზურაბაშვილის მიერ მოპოვებული შედეგები სინაფსების დარგში და გამოუგზავნა საკუთარი 4 შრომა თავის ტვინის ნატიფი მორფოლოგიის შესახებ.

„თავის ტვინის ნატიფი აღნაგობის შესახებ", — აი წიგნი, რომელსაც ავტორი — ცნობილი ბოლონიელი (იტალია) პროფესორი სილვანო ლეგჰისა მოკრძალებით უძღვნის ქართველ მეცნიერს პასუხად სინაფსების შესახებ მისი წიგნის მიღებისა.

ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვა — აი რა აკავშირებს შემოქმედებითი მეგობრობით მსოფლიოს პროგრესულ მეცნიერებს ქართველ მეცნიერთან.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი ჯერ მხოლოდ ორმოცდამეცხრამეტე წელშია. დიდი მეცნიერული მუშაობა მას ჯერ კიდევ წინ უდევს.

ჟ. ლოლაძე.

* * *

სურათზე: ა. ზურაბაშვილი.

საქართველოს კურორტებზე

გ ა გ რ ა

გაგრა საქართველოს ზღვისპირეთის ერთ-ერთი ულამაზესი კურორტია.

მომდინარე საკურორტო სეზონისათვის ევირფასი სტუმრების მისაღებად გაგრაში განსაკუთრებით დიდი სამუშაოები შესრულდა და შეიძლება თქვას, რომ კურორტი უკეთ მოემზადა, ვიდრე წინა წლებში.

დროულად მოხდა სამედიცინო პლაჟის რეკონსტრუქცია. აქ მოწყობილია სამკურნალო ფიზიკურტურის ორი კაბინეტი, ეწყობა ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტიც. დაიდგა ახალი სოლარიუმები როგორც ჩვეულებრივ, ისე გაფანტული მზის სხივების რადიაციით. დამატებით დაიდგა „სოკოები" და საწოლები, რომლებიც ამეამად სამედიცინო პლაჟზე 800 ცალს აღემატება. შეძენილია და ხმარებაშია სიზეავო ველოსიპედები.

სანატორიუმ „შუქურაში" 150 მეტრის სიმაღლეზე მილით აყვანილია ზღვის წყალი. სანატორიუმებში „ჩელიუსკინელებსა" და „ნეფტანიკაში" წარმატებით მიმდინარეობს ეანგბადის „კარვებით" მკურნალობა. ამ სანატორიუმებში მიღებულია ახალი აპარატები — აეროზოლები ინჰალაციისათვის.

სანატორიუმებში — „ოდოკვარაშინი", „ნეფტანიკისა" და „ჩელიუსკინელებში" ფართოდ დაინერგა აეროთერაპია, რისთვისაც დამატებით შეძენილ იქნა 100 ცალი საძინებელი ტომარა. „ჩელიუსკინელებში" წელს პირველად დაიწყო ნახშირმჟავა აბაზანებით მკურნალობა, ახლო მომავალში ასეთივე მკურნალობა დაინერგება „ნეფტანიკაში".

საკურორტო პოლიკლინიკის წყალსაკურნალოში პირველად კურორტზე მუშაობას დაიწყებს სუბოკეანური აბაზანები. ახლო მომავალში ქ. ხარკოვიდან მიიღებენ ეროზიონიზატორებს და დაინერგება ავადმყოფთა მკურნალობა უარყოფითი იონებით.

დიდი ყურადღება ექცევა კურორტის პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობას და ახალ-ახალი მცენარეებით შეივსებას. წელს აქ ნახეგარ მილიონზე მეტი დეკორატიული მარადმწვანე მცენარე და საბაფხულო ყვავილი დაირგო. საბაფხულო თეატრის წინ გაშენდა ახალი „ცისფერი" კუთხე". ზღვისპირა პარკი შეივსო ახალი ფრინველებით.

საგრძნობლად გაუმჯობესდა კურორტზე დამსვენებელთა კულტურული მომსახურების დონე. კურორტზე ჩამოყალიბებულია კულტსაბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს. თვეში ორჯერ იმართება საერთო-საკურორტო სეირნობა, სპორტული შეჯიბრებები, გამარჯვებულებს აჯილდოებენ თასებით და ფასიანი საჩუქრებით. დამსვენებელთა წინაშე რეგულარულად გამოდიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

კურორტზე ჩამოყალიბებულია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სამეცნიერო-საკურორტო საბჭო, რომელაც ხელმძღვანელობს გაგრის საკურორტო სამმართველოს უფროსი ა. ბარამია. საბჭოს სხდომებზე განიხილავენ კურორტის საჭირბოროტო საკითხებს. აქ პირველად ჩამოყალიბდა აგრეთვე სამედიცინო დების საბჭო, რომელაც სათავეში უდგას სანატორიუმ „ნეფტანიკის" უფროსი მედიცინის და ლიდია ოგარკოვა. საბჭო ხელმძღვანელობს კურორტის საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მუშაობის გამოცდილების გაზიარების საქმეს.

უკანასკნელ პერიოდში მუშაობა გამოაცოცხლა აფხაზკურორტავჭრობის გაგრის რაიონულმა განყოფილებამ. კურორტი ამჟამად გაცილებით უკეთესად მარაგდება კვების პროდუქტებით. წელს დამსვენებელთა უკეთ მომსახურების მიზნით კურორტავჭრობამ სერიოზული სამუშაოები შეასრულა. ახალ და ძველ გაგრაში გაიხსნა 480-ადგილიანი შემდგომი გადასვლეინების მეთოდით მომუშავე ორი ახალი სასადილო. გაიხსნა ხორცის, თევზის, პურის, სატრიკოტაჟო ნაწარმის, გალანტერიის, ქსოვილების სპეციალიზებული მაღაზიები, აგრეთვე ბოსტნეულის, რძის პროდუქტების, საყოფაცხოვრების მომსახურების მაღაზიები. რეკონსტრუირებულ იქნა ფეხსაცმლის მაღაზია, გასტრონომებში გაიხსნა ნახეკარფაბრიკატების განყოფილებები. ამ დღეებში საეკსპლოატაციოდ გადაეცა 500 ტონის ტევადობის სასურსათო საქონლის ახალი საწყობი.

კურორტ გაგრის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა უფრო რაციონალურად უნდა გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული სამკურნალო საშუალებანი, სანიმუშოდ მოაწყოს ავადმყოფთა, დამსვენებელთა მომსახურება.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: გაგრა, სანატორიუმის ხედი.

ვილაპარაკოთ გულახდილად!

ჩვენს წინაშეა მაღალმაღალი, ფიზიკურად ყოველმხრივ შემკული, წარმოსადეგი ახალგაზრდა გვეი სერგოს-ძე ჯორბენაძე. კაცი რომ მარტო შეხედულებით იცნობოდეს, ვფიქაცი ძნელად შეედრება მას. არ შეიძლება ერთი შეხედვით გულში არ გაიკვლო, „ნეტავი შენს გამზრდელ დედას, რა კარგი შვილი მოსწრებიხარო". მაგრამ ეს, მართლა ასეა?! მოვუსმინოთ თვით გეგი ჯორბენაძის დედას, 75 წლის მოხუცს ანასტასია ჯორბენაძეს.

დედის ამაგი წყალში ჩაყარა...

— ექიმად მინდოდა გამეზარდა ჩემი გეგი სამედიცინო ინსტიტუტში მოვაწყე, — გვეუბნება თვალცრემლიანი ავადმყოფი დედა ანასტასია, — ვფიქრობდი, მოხუცებულობის ჟამს მომხედავს. მოშივლის, სიცოცხლეს გამიბანგრძლივებს, მოკვერნალებს-მეთქი. მის სამედიცინოდ და გასახარებლად ჩემი ალალი ოფლითა და დაკოერებული ხელით ნაამგარს არ ეზოგავდი. წელზე ფეხს ვიდგამდი, მამით ობოლს მზრუნველობას არ ეაკლებდი, მაგრამ ამაგი წყალში ჩამიყარა. ახლა, როცა უმწეოდ ვარ და მოვლა მესაჭიროება, მამა-პაპეული სახლიდან გამაძევა, თვითონ კი სხვაგან იშოვნა ბინა და არხეინად, უდარდელად ცხოვრობს ცოლ-შვილში. ვაი მის დედას, რა ცუდი შვილი გამიზრდია! — გულზე ხელის დარტყმით წარმოთქვა ბოლოს მოხუცმა.

ორიოდ წლის წინათ გულქვა, უღირსმა შვილმა აიძულა მშობელი დედა, რომ მისი პატრონსანი შრომით შექმნილი ოჯახიდან თავისი წილი სასამართლოს წესით გაეტანა. საბრალო მოხუცის მიმართ ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლომ შემცველი მოსამართლის ზაქრო დოლიძის თავმჯდომარეობით არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება გაუუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. საქმე ხელმეორედ განხილა ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობამ შემცველი მოსამართლის ჯ. უგრეხელიძის თავმჯდომარეობით, მაგრამ კვლავ არასწორი დადგენილება მიიღო. ამის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ საქმე განსახილველად სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს გადასცა.

წელს 7 აპრილს სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ ვ. მიქაძის თავმჯდომარეობით სავსებით კანონიერი გადაწყვეტილება გამოიტანა. ანასტასია ჯორბენაძეს მიაკუთვნა სადავო სახლის ორი ოთახი ზემო სართულზე და ერთი პატარა სარდაფი. ამით გაბოროტებულმა შვილმა, არც აცივა, არც აცხელა, საქმე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში გადაიტანა. აქ კი უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უშანგი ჯანანაძის თავმჯდომარეობით მიზანშეწონილად ცნო სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ძალაში დატოვა იგი. ასე რომ დედის მომჩივან შვილს „კოვზი ნაკარში ჩაუვარდა".

მაგრამ დღემდე განაჩენი სისრულეში მაინც არ მოსულა. ორსართულიანი შენანაშენავი ოდა-სახლის ერთ პატარა მიწის იატაკიან სარდაფში ცხოვრობს ნამამაცი დედა, მოხუცი ანასტასია, რომლის ავლადიდებას შიადგენს ნახევრად დანგრეული ტახტი, ხოლო მეორე სართულზე ოთახები უსირცხვილო შვილს „ექიმმ" გეგი ჯორბენაძეს გამოკეტილი აქვს, დედას მაღლა არ უშვებს...

ჩვენთან საუბარში გეგი ჯორბენაძემ გულგრილად, უსირცხვილოდ განაცხადა:

— უნდა ვუჩივლო ზემდგომ ორგანოებში, სამტრედიის სასამართლომ უსაფუძვლოდ მიაკუთვნა დედაჩემს 24 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა, მე კი 16 კვადრატული მეტრი დამიტოვა. მეტისმეტად დამჩაგრეს.

ულირსი შვილი ისე გათავხედდა, რომ მშობელ დედას იმ პატარა სარდაფშიც მიუტანა შეურაცხმყოფელი სიტყვებით, ჭიდან სასმელი წყლის ამოსაღები ვედროც წაართვა. ანასტასიას შეეფროვებაში არც გეგის ცოლი ექიმი თ. ართილაყვა ჩამორჩენია.

ვინ არის გეგი ჯორბენაძე?

ლანჩხუთში მეტსახელად მას „უდიდესმო ექიმს" ეძახიან. მართალია, გეგი ჯორბენაძე სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. მაგრამ სრული კურსი არ დაუმთავრებია, სხვადასხვა „ობიექტური" მიზეზის გამო დაბრუნდა ლანჩხუთში და ტუბდისპანსერში მოეწყო ექიმად. შემდეგ, როგორც იქნა, უდიდესმო ექიმი გაამეორეს თაღლითობით დაკავებული ადგილიდან.

საკვირველი ის არის, რომ გეგი ჯორბენაძე არავითარ სასარგებლო საზოგადოებრივ შრომას არ ეწევა, ხოლო დაბა ლანჩხუთის ცენტრში მარქსის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა აქვს გაჩაღებული. ამ საქმით ლანჩხუთის პროკურატურისა და მილიციის მუშაკებიც უნდა დაინტერესდნენ.

დროა სისრულეში იქნას მოყვანილი სასამართლოს განაჩენი.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ამომავალი მზის ქვეყანაში

კორეა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე

✦

დღეს შესრულდა საბჭოთა არმიის მიერ იაპონელ იმპერიალისტთა უღლისაგან კორეის განთავისუფლების მეთოთხმეტე წლისთავი.

კორეისათვის, რომლის ისტორია 30 საუკუნეზე მეტს ითვლის, თოთხმეტი წელი ფრიად უმნიშვნელო ჯერ ვადაა. მაგრამ ამ მოკლე ხანში კორეის ახალგაზრდა სახალხო-დემოკრატიულმა სახელმწიფომ უდიდესი ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, სოციალიზმის მშენებლობისაკენ.

კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მკაცრი განსაცდელი განვლო. მან გადაიტანა კორეის ისტორიაში უმაგალითო ომი და ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა. 16 იმპერიალისტური სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით დაესხა მას თავს 1950 წელს და სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა გამანადგურებელ სისხლისმსმელ ომს, იყენებდა ნგრევისა და მოსპობის ყველაზე ბარბაროსულ საშუალებებს.

მაგრამ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები არ დაემორჩილნენ აგრესორებს. მამაც ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან თანამოქმედებით, სოციალისტური ბანაკის მშრომელთა აქტიური დახმარებით მათ მოიგერიეს მტრის შეიარაღებული თავდასხმა და ღირსეულად დაიცვეს სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

სულ მხოლოდ 3-4 წელიწადი დასჭირდა ომას, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შეძლებოდა არა მარტო აღედგინა თავისი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონე, არამედ ბევრ რამეში კიდეც გადაეჭარბებინა ამ დონისათვის. ამაში დიდი როლი შეასრულა უანგარო, ძმურმა დახმარებამ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სოციალიზმის ყველა ქვეყნის მხრივ.

საბჭოთა კავშირის მიერ გაღებული სახსრებით აღდგენილ იქნა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბევრი მსხვილი საწარმო. ახლად აშენდა ბევრი სამრეწველო ობიექტი, მათ შორის აბრეშუმის სართავ-საქსოვი ფაბრიკა, ხორცკომბინატი, თევზის კონსერვის ქარხანა, მარილმეტალის ქარხანა, სამღებრო-გამოსაყენები ფაბრიკა, ტრაქტორსარემონტო ქარხანა.

ამჟამად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დიდის ნაბიჯებით მიდის წინ, სოციალიზმისაკენ. 1957 წლიდან იგი შეუდგა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციას. მისი მთავარი ამოცანაა მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის თანდათანობითს ტექნიკურ რეკონსტრუქციაზე გადასვლა, ეკონომიკაში კოლონიალიზმის მავნე შედეგების საბოლოო ლიკვიდაცია მრეწველობის ახალი დარგების შექმნის გზით, ურომლისოდაც შეუძლებელია დამოუკიდებლობის მიღწევა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში.

ნაოელი პერსპექტივებით აღფრთოვანებულმა კორეის სახალხო - დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ გაანაღეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

კორეის პრესაში ამ დღეებში გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები რესპუბლიკის 1959 წლის პირველი ნახევრის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შესახებ მოწმობენ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმა ყველა მისი ძირითადი მაჩვენებლით უკვე შესრულებულია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 1956 წლის ამავე პერიოდთან შედარებით სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 2,9-ჯერ, ხოლო გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით — 75 პროცენტით. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე წელს გაუსწრებს იაპონიას ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეობის: თუჯის, ფოლადის, ელექტროენერგიის, ცემენტის, ქიმიური სასუქების წარმოების, აგრეთვე მარცვლეულის წარმოების მხრივ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობა, რომელიც სწრაფად ვითარდება, თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა საჭიროებას. პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში მისი საწარმოები უშვებენ ტრაქტორებსა და სხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სატვირთო ავტომობილებს, მძლავრ დიზელებს, დიდ ელსადგურებს, საკრავ მანქანებს, რადიომიმღებებს, ველოსიპედებს, ელექტრო სარეცხ და სხვა საყოფაცხოვრებო მანქანებს.

სოციალისტური მრეწველობის ზრდის მეთხებით ყოველწლიურად სულ უფრო მეტ მანქანებსა და სხვა ტექნიკას იღებს სოფლის მეურნეობა, რომელშიც წარმატებით დამთავრდა კოოპერირება.

შრომის პარტიის მიერ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით სრულდება. მაგრამ, მიუხედავად გეალისა, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღებულ იქნა ისეთი მოსავალი, რომელიც კორეის ისტორიას არ ახსოვს. მარცვლეულის წარმოებამ 3.700 ათას ტონას მიაღწია. რესპუბლიკა ახლა მთლიანად უზრუნველყოფს თავის თავს სურსათით.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის მიხედვით იზრდება რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავალი, მაღლდება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. კორეელები ძველთაგანვე მდიდრად თვლიდნენ იმას, ვინც ბრინჯის ფლავით, ხორცის წვენით იკვებება და კრამიტით დახურულ სახლში ცხოვრობს. მაგრამ ასეთები წარსულში თვითეულ სოფელში თითებზე ჩამოსათვლელი იყო. ამჟამად რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში მოპოვებულ დიდ წარმატებათა მეოხებით ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი მტკიცედ დგება კულტურული და შეძლებული ცხოვრების გზაზე.

კორეელმა მშრომელმა ხალხმა, რომელსაც საუკუნეობით ჩაგრავდნენ ფეოდალები, ხოლო შემდეგ იაპონიის იმპერიალისმა, შექმნა ზღაპარი ფრთოსან რაშ ჩენლიმაზე, რომელსაც შეუძლია დღეში გაირბინოს ათასი ლი* და ყველა დაბრკოლება გადალახოს. ხალხი ოცნებობდა ამ ლეგენდარული რაშის ბატონი გამხდარიყო, რათა ყველა დაბრკოლება გადალახა და ბედნიერება მოეძებნა.

ახლა ძველი ზღაპარი სინამდვილე გახდა. კორეელმა ხალხმა ბედნიერება ჰპოვა თავისუფლებასთან ერთად, რომელიც მას საბჭოთა არმიამ მოუტანა 14 წლის წინათ. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით დადგნენ ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას და ლეგენდარულ რაშ ჩენლიმასავით სწრაფად მიეშურებიან წინ.

მაგრამ ჯერ კიდევ მთელი კორეა როდი მიდის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და პროგრესის ნათელი გზით. მისი სამხრეთი ნაწილი, სადაც ერთი კოლონიზატორები სხვებმა შეცვალეს, ძველ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილებშია. ამერიკელმა ოკუპანტებმა და მათმა დამქაშებმა — ლი სინ მანის რეაქციულმა ბრიგამ — სამხრეთ კორეის ეკონომიკა მიიყვანეს სრულ რღვევამდე, ხალხი კი სიღატაკემდე. შიმშილობამდე. სამხრეთ კორეის მეტმა წილმა ქარხნებმა და ფაბრიკებმა ან მუშაობა შეწყვიტეს, ან წარმოება შეამცირეს. კოლონიერ, ნახევრადფეოდალურ ბორკილებშია სოფლის მეურნეობა. სამხრეთი კორეა წარსულში მთელი კორეის ბეღლად ითვლებოდა. ამჟამად კი მისი არსებობა უბედურეა. სამხრეთ კორეაში 6.600 ათასამდე უმუშევარი და ნახევრადუმუშევარია. მილიონობით ადამიანი შიმშილით სიკვდილს პირზეა მიყენებული. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კორეაში სამხედრო ხარჯები მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 70 პროცენტზე მეტს შეადგენს.

კორეელი ხალხის მტრები ახალ ომს ამზადებენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

იმპერიალისტები ვერ შეეჯიბრებენ ისტორიის წინსვლას. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ცოცხლობს და დღეგრძელობს, ახალ ძალებს იკრებს, და ვერაფერი ვერ დაბრკოლებს მის სწრაფ წინსვლას. იგი მთელი კორეელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშაა, მისი ნაცადი ინტერესი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის ფორპოსტია შორეულ აღმოსავლეთში.

ი. კაფულინი.

* * *

სურათზე: ფეხნიანის სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტები კენსანკორის პარკის მშენებლობაზე.

ფოტო სე და ხვანისა.

* 1 ლი—0,4 კილომეტრს.

რომ უფრო დავამშვენოთ საბჭოთა ადამიანის ცხოვრება

ლამაზდება სოფელი

წესი ერთ-ერთი დიდი და თვალწარმტაცი სოფელია ამბროლაურის რაიონში. სოფელს შუაზე ჩაოფს ფართო და კეთილმოწყობილი ბარაგზა. გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის კაპიტალური ნაგებობანი. აქ არის ხანდილო და მაღაზია, ბიბლიოთეკა, ვეტპუნქტი, საპარიკმახერო, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები, ავეჯ

ძლიერებისა და სიჯანსაღის ზეიმი

დიდი ასპარეზოგის ფინიშის წინ

არის ახალი მსოფლიო რეკორდი

მოსკოვი. 14 აგვისტო. (ტელეფონით). შეუპოვარი ირაკლები რესპუბლიკურ, საკავშირო და მსოფლიო რეკორდებზე — ასე ხასიათდება სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ბოლო დღეები.

პრესცენტრის ერთ-ერთი კუთხე დათმობილი აქვს საკმაოდ დიდ დაფას, რომელსაც „რეკორდების მახარობელს" უწოდებენ. აქ ასობით საზღვარგარეთელი და საბჭოთა ჟურნალისტი იყრის თავს ახალი სასიხარულო ცნობების მოლოდინში. აი ერთ-ერთი ასეთი ცნობა. ძალოსანთა ასპარეზობის მორიგ შეხვედრებში ორჯერ იქნა გადაჭარბებული მსოფლიო რეკორდი. პირველად ამ წარმატებას მიაღწია რსფსრ გუნდის წარმომადგენელმა საშველოვ წონაში პლიოკფლედერმა, რომელმაც აკრაში აჩვენა 176,5 კილოგრამი, ხოლო შემდეგ პეგოვმა (მოსკოვის ოლქი) ეს შედეგიც გადალახა, აჩვენა 177 კილოგრამი. ამრიგად, ორ წუთში ორჯერ იქნა გადალახული მსოფლიო რეკორდის ზღუდე, რომელიც იუთვნოდა ამერიკის შეერთებული შტატების ძალოსანს ჯორჯს.

ამ წონითს კატეგორიაში პირველი ადგილი და ჩემპიონობა ხვდა პლიუფფელდერს, რომელმაც აჩვენა 445 კილოგრამი. გუნდურ შეჯიბრებაში წინ არიან მოსკოველები. საქართველოს შტანგისტები მეექვსე ადგილზე იმყოფებიან. ძირეულ ფეხკულტურულ კოლექტივებს შორის თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის გუნდს მეშვიდე ადგილი უკავია.

ზედმეტი არ იქნება ამ მიღწევებთან ერთად შევეხოთ საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვებებს. ჩვენმა სპორტსმენებმა სპარტაკიადის დღეებში 7 ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს.

კიდევ ერთი ჩემპიონი საქართველოდან

ჩვენი რესპუბლიკის მცურავებს, რომელთა რიგებში გამოცდილ სპორტსმენებთან ერთად მაღალ ახალგაზრდაა ვხედავთ, ვერ დავემდურებით, ჯერჯეროობით მათი მიღწევები კარგია. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სპარტაკიადის დღეებში დამყარებულ რესპუბლიკურ რეკორდთა უმრავლესობა მათ ეკუთვნით. 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურაში სტარტი აიღო ექვსმა სპორტსმენმა. ისინი ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ოქროს მედლის, სპარტაკიადის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. მათ შორის იყო საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი ბორის ნიკიტინი. დისტანციაზე მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა. პირველი 100 მეტრი ნიკიტინმა გასცყრა შესანიშნავ დროში 1 წუთსა და 1,6 წამში, 200 მეტრი — 2 წუთსა და 9,7 წამში, მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარში ძლიერი ქარის გამო ტემპი შედარებით დაბალი იყო. ფინიშთან პირველი მივიდა სსრ კავშირის რეკორდსმენი ბორის ნიკიტინი, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა. მან აჩვენა დრო 4 წუთი და 34,1 წამი.

ას მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურავაში ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა პოზნიაკი (მოსკოვი), ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის ზურგზე ცურავაში — ბარბიერი (უკრაინა), ესტაფეტაში 4×200 მეტრზე გაიმარჯვეს ზბერნიჯანელებმა, საქართველოს გუნდმა მესამე ადგილი დიაკავა.



ბ. ნიკიტინი — სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის ჩემპიონი 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურავაში.

* * *

კალათბურთი, წყალბურთი

როდესაც ლაპარაკი კალათბურთზე მიდგება, მოსკოველი სპორტის მოყვარულები და არა მარტო ისინი, არამედ სპეციალისტები იგონებენ საქართველოსა და ლატვიის ვაჟთა გუნდების შეჯიბრებას. იგი მართლაც დიდი მატჩი იყო. მეორე ასეთ შეჯიბრებას მაყურებლები მოელოდნენ მოსკოვისა და ლატვიის გუნდების შეხვედრაში, რომელიც თითქმის სწყვეტდა პირველობის საკითხს. შეჯიბრების შედეგით დაინტერესებული იყვნენ აგრეთვე ჩვენი კალათბურთელები. ლატვიის გუნდის გამარჯვების შემთხვევაში მათ გზა ეხსნებოდათ პირველობისაკენ.

მოსკოველებმა თავიდანვე მოწინააღმდეგეს მაღალი ტემპი შესთავაზეს და თამაშიც მათ წაიყვანეს. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ლატვიის გუნდის ყველაზე მაღალ ტანს კალათბურთელზე კრუმინშზე. პირველი ტაიმი დამთავრდა მოსკოველების სასარგებლოდ 39:35. შეჯიბრების მეორე ნახევარში ლატვიელებმა ქულათა განსხვავება 1-მდე დაიყვანეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. მალე მოედანი დატოვა კრუმინშმა, და ლატვიელები დამარცხდნენ 65:77.

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა გუნდი მორიგ ტურში შეხვდა აზერბაიჯანელებს და გაიმარჯვა 68:57. დღეისათვის ქალთა გუნდებს შორის წინ არიან ესტონეთისა და მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივები, ხოლო ვაჟთა გუნდებს შორის — რსფსრ, მოსკოვისა და საქართველოს გუნდები.

როგორც ირკვევა, პირველობის მთავარი პრეტენდენტები წყალბურთში არიან მოსკოვისა და საქართველოს კოლექტივები. ამაზე მეტყველებს დღემდე მათ მიერ შეგროვებული ქულები. მორიგ შეხვედრაში ჩვენი წყალბურთელები თამაშობდნენ ლენინგრადელებთან. მათი შემადგენლობა ასეთი იყო: გოგოლაძე, ჩაჩავა, ჩიქვანაია, ოვანესიანი, მეგელი, გვახარია და ჩხიკვაძე.

პირველი წუთებიდანვე იერიშზე გადავიდნენ საქართველოს სპორტსმენები, და მალე ოვანესიანმა ანგარიში გახსნა. ბრძოლის შემდეგ ეტაპზე საქართველოს წყალბურთელები ინარჩუნებდნენ უპირატესობას და გუნდის „კაპიტანმა გვახარიამ ორი ბურთი გაიტანა ზედიზედ. ჩვენმა მეკარე გოგოლაძემ მოიგერია 4-მეტრიანი სჯარიმო. ტაიმი დამთავრდა საქართველოს წყალბურთელთა სასარგებლოდ 3 : 0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ლენინგრადელებმა 4-მეტრიანი სჯარიმითა თავი დააღწიეს მშრალ ანგარიშს, გაიმარჯვეს საქართველოს წყალბურთელებმა 3 : 1.

მოსკოვის გუნდმა დაამარცხა აზერბაიჯანელები 6 : 3, რსფსრ და უკრაინის გუნდების მატჩის ანგარიშია 4 : 4. დღეისათვის მოსკოვის გუნდს აქვს 6 ქულა, საქართველოს წყალბურთელებს — 5 ქულა, აზერბაიჯანისა და ლენინგრადის გუნდებს — 3-3 ქულა.

თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნაშეიალო, საშეიალო, ქვეყმძიმე და მძიმე წონის მოჭიდავეთა ბრძოლაში ჩაბმის შემდეგ ჩვენ გუნდის მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა. ამ წონითს კატეგორიებში გამოდიან ბალავაძე, სხირტლაძე, გობეჯიშვილი და კაადელაკი. მათ პირველ წრეში ყველა შეხვედრა მოიგეს, ხოლო მეორე წრეში ბალავაძემ და კანდელაკმა კიდევ თითო გამარჯვება მოიპოვეს. გობეჯიშვილმა წააგო შეხვედრა, ხოლო სხირტლაძემ ორად დაამთავრა მატჩი.

პირველი დამარცხების შემდეგ ცალქალამანიძემ მეორე წრეში გაიმარჯვა. მაგრამ დღეს იგი ვერავ დამარცხდა. არსენიანს სამი გამარჯვება აქვს ზედიზედ. მესამე წრეში გაიმარჯვეს აგრეთვე ბალავაძემ და სხირტლაძემ, ხოლო რუბაშვილმა წააგო შეხვედრა.

დღეისათვის წინ არიან რსფსრ და უკრაინის სპორტსმენთა კოლექტივები. საქართველოს და მოსკოვის გუნდები III-IV ადგილებს იყოფენ.

მოჭადრაკეთა ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება. წინა ტურებში გადადებული პარტიების დამთავრებას შემდეგ გუნდების მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. მორიგ ტურში საქართველოს და ლატვიის მოჭადრაკეთა შეხვედრა დამთავრდა 2,5 : 2,5 (4 პარტია გადადო). საერთო ყურადღებას იპყრობდა პირველობის მთავარი პრეტენდენტების — მოსკოვისა და ლენინგრადის მოჭადრაკეთა შეჯიბრება. მატჩის შედეგია 2,5 : 0,5 მოსკოველთა სასარგებლოდ, 6 პარტია გადადო. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული უკრაინისა და რსფსრ გუნდების მატჩში.

დღეს დილისათვის მოსკოველებს 19 ქულა ჰქონდათ, ლენინგრადელებს — 16 ქულა, უკრაინელებს — 14, საქართველოს — 13,5. დღეს შედეგა გადადებული პარტიების დამთავრება. ლატვია-საქართველოს შეჯიბრება დამთავრდა 2,5:6,5, ლატვია-მოსკოვი 4,5:4,5, უკრაინა-ლენინგრადი 5:4, რსფსრ-ლატვია 5,5 : 3,5, მოსკოვისა და საქართველოს გუნდის შეხვედრაში ბოტვინიკისა და ბოგუნენიძის პარტია ორჯერ გადაიდო და ბოლოს დამთავრდა ყაბმით. მოსკოველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 6 : 3.

მძლეოსნობა, ფრენბურთი, ტანვარჯიში

მძლეოსნობაში ახალი ჩემპიონები გამოვლინდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, მძლეოსნურ ათეიფში გაიმარჯვა კუზნეცოვმა. მან მოაგროვა 8005 ქულა. 400 მეტრზე თარჯანიშვილი პირველი იყო ლენინგრადელი მძლეოსანი კლენინი. 800 მეტრზე რბენაში ყველაზე უკეთესი დრო აჩვენა უკრაინელმა სპორტსმენმა ლისენკომ.

ფრენბურთელები ამთავრებენ შეჯიბრებას. ქალთა გუნდებს შორის წინ მიდიან ლენინგრადელები, ხოლო ვაჟთა გუნდებს შორის მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

შეჯამებულია ქალთა და ვაჟთა გუნდური ასპარეზობის შედეგები ტანვარჯიშში. გაიმარჯვეს მოსკოველებმა. საქართველოს გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდური მაჩვენებლები

რამდენიმე დღეა გუნდურ მაჩვენებლებში, კერძოდ, პირველ ექვს ადგილზე, არსებითი გადაჯგუფება არ მომხდარა. მოსკოველები განაგრძობენ ლიდერობას, მათ აქვთ 334 ქულა, რსფსრ — 327, ლენინგრადს — 318, უკრაინას — 309, საქართველოს — 263, ბელორუსიას — 216 ქულა.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



გულით გვიყვარს...

გუდამ მას ელტვი, მისკენ იჩქარი.
წახვალ სადმე, და თან მიგიყვება მისი
სიყვარული. ოცნებით ხედავ, თვალწინ გიდგას ყოველწამიერ მშობლიური დიდაქალაქი. ეს ხომ საქართველოს გული — ჩვენი თბილისია, მზიური თბილისი. როგორ შეიძლება არ გიყვარდეს თხუთმეტი საუკუნის ქალაქი, რომელსაც თხუთმეტ კილომეტრზე გაუშლია განიერი მხრები.

წადი, იარე, გზა ულევია,
ბოლოს მაინც აქ იპოვნი
ბუდეს,
ვისაც მტკვრის წყალი
დაულევია,
გული საყვარელ თბილისში
უდევს.

მტკვარი! ქვის აკვანში ჩაუწვენია თბილისს საქართველოს დედა-მდინარე. მერე რა ლამაზია, როცა საღამოობით ათასფერადი ნათურებით აჩახჩახდება, და ზვირთებზე ციმციმებენ შუქთა გრძელი ჩრდილები.

რუსთაველის პროსპექტი ხომ თბილისის მშვენებაა. მრავალსართულიან სახლებს სწვდებიან სიმაღლით მისი ახალგაზრდა ჭადრები. მათ მხარს უმშვენებენ მარადმწვანე ნაძვები, გაზონები, ძველი თელები და, ცხადია, მშვენიერი ყვავილების მთელი ლაშქარი.

ამ სურათში თბილისის ერთ-ერთი ხედია გადაღებული. შუაში დიდ შენობას ვხედავთ. მისი კედლები თეთრია, ისე კი ვარდისფერი ტუფით არის მოპირკეთებული.

ლამაზია თბილისი. გვიყვარს, გულით გვიყვარს ჩვენი მზიური დედაქალაქი.

სურათზე: თბილისის ხედი კომკავშირის ხეივნიდან.

ფოტო ი. ტერელაძისა.

ფეხბურთი

კიდევ ერთი გამარჯვება

გუშინდელ ასპარეზობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის, მოგების შემთხვევაში თბილისის დინამოელები საგრძნობლად იუმჯობესებდნენ მდგომარეობას და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ინაცვლებდნენ.

არანაკლებ საჭირო იყო ორი ქულა სტუმრებისათვის, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში აუსტაიდერის ზონას შორდებოდნენ.

ასპარეზობა ურთიერთ შეტევით დაიწყო. თამაშის მეხუთე წუთზე მოლდაველები თბილისელთა საჯარიმო მოედანსაკენ გაიჭრნენ. თბილისელთა მეკარე ს. კოტრიკაძე საჯარიმო მოედნიდან გამოდის. პარშინის მიერ ცარიელ კარში გაგზავნილ ბურთს მიუსწრო ხოჭოლავამ და იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისაგან. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დინამოელთა მეკარემ მსგავსი შეცდომები შემდგომშიაც ჩაიმეორა, და დაკვირდა არა თბილისელთა გამარჯვება საკრძნობლად გართულდებოდა. სტუმრების შეტევა ხანმოკლე აღმოჩნდა. თამაშის მეათე წუთიდან ინიციატივა მთლიანად მასპინძელთა ხელში გადადის. 34-ე წუთზე დინამოელთა მარცხენა ნახევარმცველი იამანიძე ოსტატურად გადის მოლდოველს დამცველებს შორის და ბურთს გაუჩერებლად მოწინააღმდეგის ბადეში გზავნის.

ასპარეზობის მეორე ნახევარი კვლავ თბილისელთა უპირატესობით წარმართა. მე-12 წუთზე დინამოელთა ცენტრალური თავდასხმელი ხელიდან აგდებენს ბურთს მეკარე ერეკვეკეს და მეორე ბურთს გზავნის მოწინააღმდეგის კარში.

ამ მარცხის შემდეგ სტუმრებს ერთგვარი გარდატეხა შეაქვთ თამაშში. მათი კომბინაციები უფრო გააზრებული და საშიშია. მე-19 წუთზე მცველთან ორთაბრძოლაში გამარჯვებული კორობკოვი ძლიერი დარტყმით ქვითავს ერთ გოლს. დარჩენილ დროში დინამოელებს კიდევ სამი ბურთი გაგზავთ მოწინააღმდეგის კარში (ლოლობერიძე, გაგნიძე, კლოვეკი).

5:1 თბილისელთა სასარგებლოდ ასეთია ამ შეხვედრის შედეგი.

ამ დამსახურებული გამარჯვების შემდეგ თბილისის „დინამომ" მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

* * *

მოსკოვი. 14 აგვისტო. აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკაკ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". თამაში დამთავრდა კუიბიშეველთა გამარჯვებით 2:1.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

ამერიკელები ცეკვავენ ქართულს

ამ დღეებში თბილისში სტუმრად იყვნენ ვენის VII მსოფლიო ფესტივალზე მონაწილენი — არგენტინელი, პერუელი და მექსიკელი ახალგაზრდები.

13 აგვისტოს თბილისის ახალგაზრდობამ ძერჟინსკის სახელობის საბავშვო ულუბში შეხვედრა მოუწყო სტუმრებს. თბილისელი ახალგაზრდები მთელი გულით მიესალმნენ ამერიკელ მეგობრებს და სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს. ფესტივალის მონაწილე სტუმრების სახელით მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა არგენტინელმა ერქიულუ ვიალემ.

მშვიდობა, სიცოცხლე, მეგობრობა! — დიდხანს ისმოდა შეძახილები.

შემდეგ ეზოში გაიმართა ჩვენებითი ლხინი ფოლითა და განის ძახილით. არგენტინელი, მექსიკელი, პერუელი ჭაბუკები და ქალიშვილები თბილისელ ახალგაზრდებთან ერთად ეკავებოდნენ ცეკვებს ქართულს და ტანდილმოვანი ესპანურით იწვევდნენ წრეში ქართულ გუდიაშვილი", „ბორჯომის ხეობა". „წყალტუბო" და სხვები.

ამერიკელი ჟურნალისტების ქართულ ენაზე

„თბილისის დაწესებულებებისა და ქუჩების მოკლე ცნობარი" ქართულ ენაზე გამოსცა საქალაქო ცნობათა საინფორმაციო კანტორამ. წიგნი ჩასმულია ლამაზ ყდაში, ილუსტრირებულია თბილისის ხედებით.

„მტირალა" ვიტრინა აქვს ხილეულეულის მაღაზიას, რომელიც ახლახან გაიხსნა ჩელუსკინელების ქუჩაზე. რეკონსტრუქციის შემდეგ ხილეულეულის მაღაზიები გაიხსნა აგრეთვე მარჯანიშვილისა და კიროვის ქუჩებზე. ამ დღეებში მუშაობას დაიწყებენ ახალი დიდი მაღაზიები პლეხანოვის პროსპექტზე და კომინტერნის ქუჩაზე.

პოლონეთში „ქართული კულტურის დღეებში" ნაჩვენები იქნება ქართული კინოფილმები, „ბაში-აჩუკი", „ჭრიჭინა", „მაგდანას ლურჯა", „ოთარაანთ ქვრივი", „სხვისი შვილები", „ჩხიკვთა ქორწილი" და სხვ., აგრეთვე მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ლადო

ამერიკელ ჟურნალისტთა ექსკურსია

ამ დღეებში ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფი ეწვია ბორჯომს. ექსკურსიის მონაწილეებმა ინახულეს ბორჯომის ბალნეოლოგიური ინსტიტუტი, ეწვივნენ ბორჯომის ბალნეოლოგიურ ინსტიტუტს